

Image not found or type unknown

ადვოკატებს დაკავებულ აქტივისტებთან არ უშვებენ

დღეს ყვარელში მიმდინარე მშვიდობიანი საპროტესტო აქციის დროს პოლიციამ 10-ზე მეტი სამოქალაქო აქტივისტი დააკავა. ორცელდება ვადრები, სადაც ჩანს პოლიციის მიერ ადმინისტრაციული წესით დაკავებული პირების მიმართ ღირსების შემლახავი მოპყრობის ფაქტები. დაკავებულები გადაყვანილნი არიან თელავის პოლიციის შენობასთან.

არასამთავრობო ორგანიზაციების ადვოკატები დაკავებული პირების უფლებების დასაცავად პოლიციის შენობასთან იმყოფებიან, თუმცა, მათ უკანონოდ ეშლებათ ხელი დაცვის ქვეშ მყოფი პირების უფლებების დაცვაში. პოლიცია ადვოკატებს არ აძლევს შესაძლებლობას, მონახულონ დაკავებულები. ასევე, იმ დროს, როდესაც საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს იურისტი ორი საათის განმავლობაში ელოდებოდა დაკავებულთან შეხვედრას, ვახეთის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილემ, გიორგი კლიმიაშვილმა მას იძულებით დაატოვებინა პოლიციის შენობა.

ამ დროისათვის ადვოკატებისათვის უცნობია, რა მდგომარეობაში იმყოფებიან დაკავებული აქტივისტები. დაკავებულების უფლებები განგრძობითად ირღვევა.

მივმართავთ:

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს - დაუყოვნებლივ მისცენ ადვოკატებს დაკავებულებთან შეხვედრის შესაძლებლობა, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ქმედება აღქმული იქნება დაკავებულების დაცვის უფლების შეზღუდვად;
- საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას - გამოეხმაუროს ადვოკატების საქმიანობის ხელშეშლის ფაქტებს.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



ქელმომწერი ორგანიზაციები:

ქსართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია)

ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი (WISG)

საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI)

უფლებები საქართველო

ადამიანის უფლებათა ცენტრი

ქარტნიორობა ადამიანის უფლებებისათვის (PHR)

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)

ქერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო (TIG)

ღია საზოგადოების ფონდი (OSGF)

ქოციალური სამართლიანობის ცენტრი (SJC)

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED)

ქამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი (CSI)